სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● №13 (4534) ● 12 ოქტომბერი ● 2016 წელი ● ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●

გილოცავთ მასწავლებლის დღეს – 5 ოქტომბერს!

სექტემბრის დილა თბილისის 106-ე საჯარო სკოლაში

დიდებული დასაწყისი – გარანტია გამარჯვებისა

სწავლის დაწყების ყველა მონაწილეს და სტუმარს თბილისის 106-ე საჯარო სკოლაში ზღვა სიხარული ელოდა. აი, სახეგაბრწყინებული მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები. აი, ფორმიანი თვალებხატული პირველკლასელები. აღტაცება, მილოცვები, ზეიმი, პირველი ზარის წკრიალი!

ხანდაზმულთ ჩვენი პირველკლასელობაც გაგვახსენდა და ეს ლექსიც „სიმებს ცეცხლი ეკიდება, ამ სიხარულს ნეტავ რა სჯობს? შენ სალამი, შენ დიდება, სწავლას, სწავლას გაუმარჯოს!“

გედები გვესალმებიან „გედების ტბიდან“. აი, სასექტემბრო სიახლე. შემოხვალთ ფოიეში და სრული საოცრება: პანო – **„გამარჯვებული თამარი ბასიანიდან“.** დაკიდულ ჭერზე ცოდნის ლამპარი გიზგიზებს. ასეთი საოცრება პანო კიდევ ბევრია. აი, თუნდაც: **„ძლევაი საკვირველი“**, იაკობის **„დედაენის“** 33 სანთლით გაბრწყინებული ანბანი და სხვა. ეს ყველაფერი ფერმწერი ხელოვანის **დავით ასლანიშვილის** შემოქმედებაა.

სწავლას მოწყურებულთ ღვაწლმოსილი დირექტორი **თენგიზ გულორდავა** ულოცავს სწავლის დაწყებას. შეკრებილთ მიესალმება ისან-სამგორის რაიონის რესურსცენტრის უფროსი **მეგი როსტიაშვილ-წიკლაური**. იმდენად მოსწონს ეს სკოლა, აქ შემოიყვანა თავისი შვილები სასწავლებლად.

ორ წელიწადში ბევრი საოცრების მოწმე გავხდით, იმდენი რამ აშენდა და დამშვენდა. თუნდაც რად ღირს დაწყებითი კლასების სასწავლო კომპლექსის მწყობრი ჩაყენება.

პირველი ზარის წკრიალზე კეთილმოწყობილ ოთახებში შვიდმა მასწავლებელმა შვიდი პირველი კლასი შეიყვანა.

ვინ არის ამ საოცრებათა შემოქმედი? ვინ და ერუდირებული, საქმისთვის თავდადებული, გამომგონებლობითი ნიჭით დაჯილდოებული დირექტორი **თენგიზ გულორდავა**. თავის შრომისმოყვარე კოლექტივთან ერთად მთელი ზაფხული ამ ხვატსა და ბუღში ერთი დღეც არ ჩაუმუხლავს. ამ დიდებულ კაცს ავიამშენის დასახლებაში სიყვარულით **„თენგიზ აღმაშენებელი“** შეარქვეს. კიდევ მეტს გეტყვით: ადრე ბატონმა თენგიზმა მეტად გააძლიერა თავისი მშობლიური, თბილისის მე-5 საჯარო სკოლა, შემდეგ „ფენიქსებრ“ ააღორძინა გლდანულას 59-ე სკოლა. დედაქალაქში ერთადერთი მამაკაცი სკოლის დირექტორია, რომელიც მამულს ხუთ შვილს უზრდის.

ღვაწლის ვერდანახვა-დაუფასებლობა დიდი ცოდვაა, – ამბობს ბრძენკაცი. მთავრობის დონეზე მაქვს მხედველობაში, თორემ საზოგადოება ისედაც ეძახის დირექტორს **„თენგიზ აღმაშენებელს“**.

ყველას გვახსოვს პედაგოგიური შრომის მორალურ-მატერიალური სტიმულირების ფორმები: **„დამსახურებული**

▶▶ *გაგრძელება მე — 2 გვ.*

მორის ფოცხიშვილი

ჩემს მასწავლებლებს

კვლავ თქვენი დღეა და მე ვიგონებ
თქვენი სულივით წმინდა
ყველა კახაბერს, ყველა დიდგორელს,
ყველას, ვინც დღემდე გვზრდიდა.
მწუხრში თქვენდარი შემწე ვინ ნახა,
გულს გვიცისკროვნებთ მზისებრ, –
მასწავლებლებო, მე თქვენ მიყვარხართ,
მასწავლებლებო, გისმენთ!
არც რა ეშმა და არც რა განგება,
სისხლო, ცეცხლივით მწყრალო,
საქართველოსთვის თავის დადებას
ჩვენ ისევ შენგან ვსწავლობთ...
არც რა უღელი, არც რა გალია,
არც რა ღრუბელი მრუმე, –
რაც მისწავლია, მე მისწავლია
თქვენი ცხოვრებით თურმე.
მე უნდა გითხრათ ახლა მადლობა
და თქვენ გადიდოთ თრთოლვით, –
სინათლესავით შუბლზე გადნებათ
ფიქრად ქცეული თოვლი.
ნეტა უთქვენოდ შვება ვინ ნახა,
სულს გვიცისკროვნებთ მზისებრ, –
მაწავლებლებო, მე თქვენ მიყვარხართ,
მასწავლებლებო, გისმენთ!

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

დიდებული დასაწყისი – გარანტია გამარჯვებისა

▶▶ პირველი გვერდიდან

მაწავლებელი“, **„სახალხო მასწავლებელი**“, სხვა წოდებები. **„საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებელი“** გვყავდა – 77-ე სკოლის დირექტორი **გრიგოლ კობახ**იძე, **„საქართველოს სახალხო“** იყო **„დავით გონდაური“** იმავე სკოლიდან. „ტვინიკოს-პოლიტოლოგებმა“ ყველაფერი ეს გააუქმებინეს მთავრობას, „კომუნისტური გადმონაშთიაო“. ამ ლოგიკით „ნობელიის პრემია“, „რუსთაველის პრემია“, აგერ ჩვენი ლიტერატურული „საბაც“ „კომუნისტური გადმონაშთი ყოფილა“.

კიდევ მეტი, სულ ახლახან არ აიღეს ხელი მატერიალურ-მორალური სტიმულირების ისეთ სახეებზე, როგორიც იყო **„წლის საუკეთესო დირექტორის“** წოდება, „ბრენდირებული“ სკოლებისთვის „ათი ვარსკვლავის“ მინიჭება და სხვა. არადა, ამას ყველაფერს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და ექნება.

საქართველოს პედაგოგთა სახელით, მე, რიგითი დამსახურებული მასწავლებელი ვთხოვ განათლებისა და მეცნიერების ახალ მინისტრს, ბატონ **ალექსანდრე ჯეჯელავას**, შეძლებისდაგვარად აღადგინოს მოტივაციის ამამაღლებელი განათლების მუშაკთა მატერიალურ-მორალური სტიმულირების ზემოთჩამოთვლილი ფორმები.

კიდევ ბევრია მოსათხრობი 106-ე სკოლაზე, დირექტორზე, ძლიერ პედაგოგებზე, კიდევ იმდენი, რომ **„ყურნი დაშვრების მოსმენით, ენანიც დაღალდებიან“**. სჯობს, მათ მოვუსმინოთ, ვისი დალოცვილი მარჯვენითაც იჭედება და რეალიზდება გამარჯვების ფორმულა.

„სწორედ ამიტომ ჰგავს სამყარო ზღაპარს“

გასული სასწავლო წელი წარმატებული იყო: 28 კურსდამთავრებულიდან 13 სტუდენტი გახდა. 100%-იანი გრანტით ჩაირიცხა ორი ახალგაზრდა, 70%-იანით – 3, 50%-იანით – 7. მოსწავლეები: **ანა კუტუბიძე**, **მარიამ ჩიქოვანი**, **გვანცა ჩხეტიანი**, **მარიამ** და **გუგა ცუხიშვილები** ვარკეთილის მედიათეკაში ჩატარებული კითხვის კონკურსის შედეგად დაჯილდოვდნენ სიგელებით და მიენიჭათ **„წლის საუკეთესო მკითხველის“** წოდება.

ძალიან ბევრი აჩვენებს ცოდნის მაღალ დონეს, აქტიურია მათი ჩართულობა მნიშვნელოვან პროექტებში, ღონისძიებებში, ოლიმპიადებში. იმდენია, ვერ ჩამოვთვლით. გამარჯვების სიხარულიც სახეზეა. ბევრი მიდის მათემატიკურ სკოლებში. მეშვიდეკლასელები მაღალი ქულებით ჩაირიცხნენ 199-ე საჯარო სკოლაში.

წლევანდელი 15 სექტემბერი ხომ იყო და იყო უმნიშვნელოვანესი დღე სკოლის ისტორიაში. სწავლის დაწყებას შევხვდით უჩვეულო ენთუზიაზმით და გვქონდა კიდეც ამის საფუძველი: 7 პირველი კლასი დაკომპლექტდა. მივიღეთ ახალი, პერსპექტიული და გამოცდილი პედაგოგები. გვჯერა, იმედებს გაგვიმართლებენ.

ახალგაზრდებს ვასწავლით კეთილ ფიქრებს, კეთილ სიტყვასა და კეთილი საქმის კეთებას, მოწინავე ღირებულებების ერთგულებას.

„ნუ იქნები გზაზე მდგარი სვეტი, რომელიც მხოლოდ გზას მიუთითებს და ადგილიდან არ იძვრის. იყავი წინამძღოლი. იარე წინ და სხვებსაც უჩვენე გზა!“ – აი, ჩვენი პედაგოგიური კოლექტივის დევიზი.

ბატონმა თენგიზმა საქმით დაგვანახა, რომ აქვს ბრწყინვალე მენეჯერული თვისებები, ზღვა ფანტაზია. ამ მოკლე დროში განახორციელა არაერთი სასიცოცხლო პროექტი. ერთ მუშტად შეკრა კოლექტივი, „ჭირი და ლხინი ერთი უნდა გვქონდესო“, – გვეუბნება ხშირად. ბევრს ზრუნავს მოსწავლეებზე, პედაგოგებზე. მუდამ სიახლეების მოლოდინში ვართ.

ჟან-ჟაკ რუსო ამბობდა: **„ცხვრის ფარა ლომის მეთაურობით უფრო ძლიერია, ვიდრე – პირიქით“. სიკეთის კეთებით მართლა ჰგავს სამყარო ზღაპარს**.

ყველა პედაგოგს გვინდა ბატონი თენგიზის ჩანაფიქრს – „ჩვენი სკოლა საქართველოში საუკეთესოთა შორის საუკეთესო იქნებაო“, ფრთები შევასხათ.

ნაზი სეთურიძე,
დირექტორის მოადგილე

პირველკლასელები და პირველი მასწავლებლები

ფატი სამნიაშვილი (I[1] კლასი): 15 სექტემბერს ამ პირველკლასელთა თვალებში გაოცებას დაინახავდით. ცეროდენები აღაფრთოვანა სკოლის ლამაზმა ფოიემ, კეთილმოწყობილმა საკლასო ოთახებმა. შეუმჩნეველი არავის დარჩებოდა დორექტორ **თენგიზ გულორდავას** მორიდებული, თან კმაყოფილი გამომეტყველება. მას ხომ მთელი ზაფხული არ დაუსვენია და ეს ყოველივე ნამდვილად ღირდა ამდენი ბავშვისა და მათი მშობლების მადლიერი, სიყვარულით სავსე თვალების ხილვად.

მაია გურასაშვილი (I[3]): მინდოდა პატარებს განსაკუთრებულად დავხვედროდი. ძალიან დამეხმარა ის თბილი და მეგობრული გარემო, რომელიც გაბწყინებულ სკოლაში დამხვდა. დირექტორმა, ბატონმა **თენგიზ გულორდავამ** არაფერი დაიშურა სკოლის წინსვლისათვის. დიდი მონდომების შედეგია ლამაზად მოხატული კლასები, დერეფნები, რომელიც სტიმულს მატებს ყველას.

მე ახალი მასწავლებელი ვარ. ცეროდენების სიხარულით აციმციმებული თვალების დანახვა ჩემთვის მთელი სიცოცხლეა. ვეცდები, იმედები გავამართლო.

ელზა ჭიკაძე (I[5]): წელს 200-მდე პირველკლასელი მივიღეთ ბრწყინვალე სკოლაში. მე I[5] კლასში შევუძეხი თვალხატულებს. 2016-2017 სასწავლო წელი დირექტორმა გამოაცხადა ხარისხის წლად. მოტივაციის ასამაღლებლად დააწესა ნომინაციები: **„წლის საუკეთესო მოსწავლე“**, **„მასწავლებელი“**, **„კლასი“**, **„დამრიგებელი“**, **„კათედრა“**. ბრძნული გადაწყვეტილებაა. ვეცდები, გავიმარჯვო.

თეონა აბესაძე (I[4]): გავხდი პედკოლექტივის ახალი წევრი, რაც ჩემთვის ძალიან საამაყოა. კოლეგები გულთბილად შემხვდნენ. ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ამ სკოლის ძველი მუშაკი ვიყო. ძალიან მახარებს პირველკლასელებისა და მათი მშობლების გაცნობა.

გალინა მეცხვარიშვილი (I[6]): ისან-სამგორის რაიონში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მოთხოვნადი სკოლის პედაგოგი გავხდი. აქ საოცარი აკადემიური სასწავლო გარემოა. შემოქმედი დირექტორი **თენგიზ გულორდავა** და მთელი პერსონალი კარგად იაზრებენ, რომ მეც მათ ავანგარდში ვიქნები.

ირმა შეშაბერიძე (I[7]): აი, „ჩემი თვალით დანახული“ 106-ე საჯარო სკოლა, სადაც პროფესიონალიზმი და შრომის სიყვარული სუფევს. დირექტორს **თენგიზ გულორდავას** და მის მოადგილეს ქალბატონ **ნაზი სეთურიძეს** მადლობას ვუხდით იმ თავდაუზოგავი შრომა-შემართებისათვის, რასაც იჩენენ მომავალი თობის აღზრდა-სწავლების საქმეში. მჯერა, მალე ჩემი თვალით დანახული 106-ე საჯარო სკოლა კიდევ უფრო გაბრწყინდება.

ირმა ვახანია (მშობელი, სამეურვეო საბჭოს წევრი): ნაღდად ვიცოდი, ბატონი თენგიზი სიახლეებს დაგვახვედრებდა. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სკოლის ფოიეში აღმოვჩნდით ზღაპრულ სამყაროში. მერე დაგვხვდა რამოდენიმე გარემონტებული ოთახი. ყველაფერი სკოლის ხარჯებით არის გაკეთებული. არც ფიზიკურ შრომას თაკილობდა დირექტორი, ხელოსანიც იყო, მუშაც, მომმარაგებელიც. მთელი ზაფხული წუთითაც არ დაუსვენია. არც ახლა ისვენებს, სიახლეებს გვპირდება და შეასრულებს კიდეც. მჯერა „ჯადოქარი“ დირექტორისა. მშობლების სახელით, გმადლობთ, ბატონო თენგიზ!

***

ყველაფერია თქმული. ვერაფერს დავუმატებთ. **დაგელოცოთ მარჯვენა, ბატონო თენგიზ! ღმერთმა დაგლოცოთ, მოსწავლეებო და პედაგოგებო!**

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

თბილისის 94-ე საჯარო სკოლის ხვალინდელი დღე

მიზანი, რომელიც ოცნებაზე მეტია

ისან-სამგორის რაიონში 94-ე საჯარო სკოლა ერთ-ერთი უდიდესია არა მარტო მოსწავლეთა რაოდენობით, პედაგოგების სიძლიერითაც, მაღალ ხარისხზე ორიენტირებული საქმიანობის შედეგებითაც. ასეთ დიდ, ძლიერ სკოლას ძლიერი, ენერგიული და ერუდირებული ხელმძღვანელი სჭირდება და, აჰა, ისიც, ახალგაზრდა, ნიჭიერი, გამოცდილი დირექტორი **ნინო გახარ**ია. კრინტი ვერ დავაძვრევინე პირად მოღვაწეობაზე, იმდენად თავმდაბალი აღმოჩნდა. თუმცა ზედმეტი თავმდაბლობაც არ ვარგა. მისი ცხოვრების წესი და დევიზია: **„არა ქებამ, არამედ საქმემან შენმან გამოგაჩინოს“**. სკოლას მესამე წელია ჰყავს კონკურსის წესით არჩეული დირექტორი. მასთან დიალოგის მიხედვით გვსურს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე, პედაგოგთა შემოქმედებითი სრომით მიღწეულ შედეგებზე, მისაღწევ ამოცანებზე მოგითხროთ.

გთავაზობთ დირექტორთან საუბრის მოკლე შინაარსს.

***

ახალი სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყო. მანამდე მოწესრიგდა საკლასო ოთახები, ინვენტარი, გადახალისდა ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსი.

დიდი კონტინგენტის შესაბამისად, სწავლა სამ ცვლაში მიმდინარეობს. 2016-2017 სასწავლო წლისთვის პირველი კლასის 8 პარალელი გაიხსნა მშობლების მოთხოვნის საფუძველზე. გვყავს მაღალკვალიფიციური კადრები. გვაქვს უსაფრთხო და კომფორტული გარემო, რის გამოც ჩვენს სკოლაში სწავლის მიღების მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ძლიერი, მაღალკვალიფიციური მასწავლებლები მოღვაწეობენ. უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს 53 პედაგოგს.

ვცდილობთ სკოლა გავხადოთ მოსწავლეებისათვის საყვარელ ადგილად, სადაც მხოლოდ სწავლა-განათლებას კი არ შეიძენენ ბავშვები, არამედ, სულიერ, კულტურულ და ესთეტიკურ ფასეულობებსაც ეზიარებიან. სკოლას სწავლების ხარისხის მიმართულებით ჰყავს გამოცდილი დირექტორის მოადგილე **ნარგიზ ქილიფთარი**, სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით თავდადებით მოღვაწეობს **გიორგი ლიჩელი**, სკოლის უმაღლეს ორგანოს აქტიურად ხელმძღვანელობს **ნელი მუჯირიშვილი.**

სწავლების მაღალი ხარისხი პირდაპირ-პროპორციულია საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობისა. 7 საგნობრიოვი კათედრაა: ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელმძღვანელი – **ია ხუციშვილი**, მათემატიკისა – **ნათია ბარამიძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა – **ნონა ჩხვირკია**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა – **ნანა გიგოლაშვილი**, უცხოური ენებისა – **ქეთევან ყოლბაია**, დაწყებითი კლასებისა – **ლელა გეთიაშვილი**, ესთეტიკური ციკლის საგნებისა – **ეთერ სააკაშვილი**.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოიჩინეს თავი გასულ წელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ქართული, უცხოური ენებისა და დაწყებითი კლასების კათედრებმა. დაწყებითი კათედრის ყველა პედაგოგი (33-ვე) მონაწილეობდა **„ჯიპრაიდის“** პროგრამაში.

„ჯიპრაიდთან“ წარმატებული თანამშრომლობა გრძელდება. აღსანიშნავია, კათედრის წევრების, ხელმძღვანელებისა და ფასილიტატორების, სკოლის ფსიქოლოგის **ლელა შველიძისა** და სპეცმასწავლებლის **ხათუნა ლომიძის** კოორდინირებული მუშაობა. ბევრი ინტეგრირებული გაკვეთილი დაიგეგმა და ჩატარდა. სისტემატური იყო გამოცდილების გაზიარების მიზნით ურთიერთდასწრებები და ასევე დირექციის დასწრებები გაკვეთილებზე.

გასულ სასწავლო წელს სამგორის რაიონის გამგეობამ ჩაატარა კონკურსი – **„დებატები“**, მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა ჩვენი სკოლის გუნდი, სატელევიზიო პროექტ-კონკურსში **„წიგნების თარო“** – **ნინო ჩაჩავა**, **ნინო სირაძე** და **გიორგი მაჭარაშვილი** ფინალურ ტურში წარმოაჩენენ ჩვენს სკოლას.

მოსწავლეთა თვითმმართველობამ საინტერესოდ და ძალიან ეფექტურად იმუშავა გასულ სასწავლო წელს. მათ ბევრ საინტერესო იდეას შეასხეს ფრთები, ჩამოყალიბებული კლუბების დახმარებით (**„ეკოკლუბი“**, **„წიგნიერთა კლუბი“**, **„უცხოური ენების“** კლუბი) განსაკუთრებით აღვნიშნავთ მათემატიკის კლუბის (პედაგოგი **ინგა სტვილია**) მიერ ჩატარებულ გრანდიოზულ კონკურსს, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა და დიდი მოწონება დაიმსახურა. შთამბეჭდავი ღონისძიებებით დაგვამახსოვრა თავი სამოქალაქო განათლების კლუბმა (**ლ. შველიძე**). მოსწავლეების მიერ დაარსებულმა **„ონლაინ ტელევიზიამ“** უკვე სერიოზული ნაბიჯები გადადგა.

მოზარდთა სულიერ, კულტურულ, ესთეტიკურ აღზრდას ემსახურება და პოპულარულია **მუსიკალური სტუდია**, **ქართული ცეკვის**, **ქორეოგრაფიული**, **სამეჯლისო ცეკვების**, **კარატეს**, **კინგბოქსინგისა** და **ჭადრაკის** წრეები. სკოლა ჩართულია ჭადრაკის სწავლების, ელექტრონული ჟურნალების გამოცემის საპილოტე პროგრამებში.

გვაქვს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ფიზიკის, ქიმისა და ბიოლოგიის კლას-ლაბორატორიები, 2 ინფორმატიკის კაბინეტი და ჯეოკლასი.

წლის დასაწყისში შევიმუშავეთ სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელშიც მისაღწევი მიზნები, ამოცანები და მათი შესრულების ეტაპები კარგადაა გაწერილი.

ჩვენ აღვზრდით 21-ე საუკუნის შესატყვისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილ სრულფასოვან და ღირსეულ პიროვნებებს.

***

ჩვენც გვჯერა ამისი. წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. სკოლის შემოდგომა ივნისშია. ჰოდა, 94-ე სკოლელები ივნისში წიწილებს უხვად მოითვლიან.

ბორის ხარებავა

„ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს

ერთი დღე თბილისის მე-19 ბაგა-ბაღში

ბედნიერია ბავშვობა თქვენი!

თბილ, მეგობრულ გარემოში, სიმშვიდეში და სილამაზეში იზრდებიან პატარები თბილისის მე-19 საბავშვო ბაგა-ბაღში. ეზოში შესვლისთანავე მოიხიბლებით. თვალშისაცემია სისუფთავე, გამწვანება, გასართობები. შენობის ორი ფლიგელი. სიმპათიური, ნამდვილი ინტელიგენტი დირექტორი ჰყავთ. ქალბატონი **ნატო ჯიქია** სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობით. მინიჭებული აქვს ფსიქოლოგიის დოცენტის სამეცნიერო წოდება, არის ოთხი სამეცნიერო შრომის ავტორი, აქვს იურიდიული განათლება და საკმაოდ სოლიდური სამუშაო გამოცდილება, იყო ახალგაზრდობის სასახლის ხელმძღვანელი, ნოდარ დუმბაძის სახ. უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ლექტორი, საბავშვო ბაღში აღმზრდელ-პედაგოგი, სკოლა-კომპლექს „სადუნის“ ფსიქოლოგი. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი - **ლიზა ჯიქია**.

სულ 6 თვის მოსული დირექტორია, მაგრამ კოლექტივმა გამოჩენის პირველივე დღიდან შეიყვარა. ბევრი პრობლემა დახვდა. ყველაზე მთავარი საკანალიზაციო ხაზის მოწყობა იყო, რაც წლების მანძილზე უქმნიდა პრობლემებს ბაღის თანამშრომლებს. დირექტორის ძალისხმევით, მთლიანად მოწესრიგდა საკანალიზაციო სისტემა. სასწავლო წლის დასასრულს ძალიან უნდოდათ გამოსაშვები ღონისძიების ლამაზად ჩატარება. ყველა ერთად ხელებდაკაპიწებული შრომობდა. პირველი ფლიგელის სარემონტო სამუშაოები ოპერატიულად დასრულდა და ესთეტიკური ხიბლი გაბატონდა. მეორე ფლიგელში კოსმეტიკური სამუშაოები ჩატარდა. განსაკუთრებული გემოვნებით არის მოწყობილი ბაგის ჯგუფი. ყველაფერი ეს მშობელს იმედით ავსებს, რომ მისი შვილი საუკეთესო ადამიანების ხელშია. სასწავლო წელიც ნაყოფიერად დაასრულეს. „მხიარული სტარტები“, 5-6 წლიანთა ჯგუფების ღონისძიებები – „ანბანი და საქართველო“, „ტყის გადარჩენა’“, რომლებიც აღმზრდელების: **ნანა ხარაზიშვილის**, **მანანა მამაცაშვილის**, **თამრიკო ელკანიშვილის**, **ნონა ჩალათაშვილის** და მეთოდისტ **თამუნა ანთიძის** ხელმძღვანელობით ჩატარდა.

ქალბატონი ნატო დიდებულად შეეწყო თანამშრომლებს. ხშირი კომუნიკაცია აქვს მშობლებთან, ითვალისწინებს კოლექტივის აზრს. ერთად გადაწყვიტეს, უსაფრთხო გარემოს შექმნა და ბავშვთა დაცულობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, ფანჯრებზე გისოსები დაამონტაჟეს, რაც ბაღის არსებობის 10 წლის მანძილზე ვერ მოხერხდა. დიდი ძალისხმევა დასჭირდა ეზოს გალამაზებასა და გამწვანებას. ამ შრომისმოყვარე კოლექტივში დირექტორს მხარში უდგანან: მოადგილე **ანა ცინცაძე**, მეთოდისტი **თამარ ანთიძე**, ლოგოპედი **ნინო კიკნაძე**, ექთანი **ნინო ქავთარაძე**, მნე **მზევინარ ძნელაძე**.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობს. მეტყველებისა და დამოუკიდებელი აზროვნების, ჯანსაღი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, სკოლისთვის მზადება ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გამოცდილი აღმზრდელების — **ნონა ჩალათაშვილის**, **თამარ ელკანიშვილის**, **ნინო გოდერძიშვილის**, **მანანა მამაცაშვილის**, **ნანა ხარაზიშვილის**, **ლიანა ნამგალაურის** შრომის შედეგია. პატარების მოვლის მთელი სიმძიმე არანაკლებად გადადის აღმზრდელის თანაშემწეების მხრებზე, განსაკუთრებით ბაგის ჯგუფში. ისინი ხშირად ითხოვენ ხელში აყვანას და სეირნობას. ზოგი მათგანი ხომ სწორედ ამ ქალბატონთა კალთას ამოფარებული ატარებს მთელ დღეს. აი, ისინიც: **მანანა აბრამიძე**, **ნანა ლაბაძე**, **ნინო ლაბაძე**, **ნანა ბარამაშვილი** და **ირმა სოფრომაძე**.

ცეროდენების მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში და ზეიმების უზადოდ გაფორმებაში დიდი წვლილი მიუძღვის მუსიკის მასწავლებელს **თეა ნინიძეს** და ცეკვის პედაგოგს **მანანა მამალაძეს**.

თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტია ფსიქოლოგი **მაკა ჭითანავა**. იგი ბევრს მუშაობს ბავშვის ნებისყოფისა და საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის.

დირექტორის მარჯვენა ხელია საქმისმწარმოებელი **ლია კუტალაძე**, უაღრესად მოწესრიგებული და სანდომიანი ქალბატონი.

ბოლო წლებში საბავშვო ბაღებში კვების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ გამოყოფილი თითოეული ლარი გეგმაზომიერად იხარჯება და მიდის ბავშვამდე. ბაღებში არის სამჯერადი კვება, კვირაში ორჯერ ხორციანი კერძი, ორჯერ- ქათამი, ერთი დღე თევზისთვისაა გამოყოფილი, ხილი, ფაფები, ომლეტი და ა.შ.

ნატო ჯიქია: საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორი კვება აქვთ ბავშვებს სრულიად უფასოდ, უმაღლესი ხარისხის პროდუქტით და ამის გარანტი არის სააგენტო. ამ საბავშვო ბაღში სამზარეულოც მოწესრიგდა, სუფთად გამოწყობილი მზარეულები — **ლია კობახიძე** და **მარინა ცხადაძე** უგემრიელესი კერძებით უმასპინძლდებიან პატარებს.

დირექტორმა ქებით მოიხსენია დამლაგებლები: **ნათელა ასათიანი**, **მზია ჭკადუა**, **ნონა აბუაშვილი**, **ლუბა ახობაძე**, **თამარ ახობაძე**. შრომისმოყვარე მებაღე **ანა პეტრიაშვილი**. სარემონტო სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდნენ მუშები **ივანე თამაზაშვილი** და **ალმან გოგოხია**. ბაგა-ბაღს საიმედოდ იცავენ დარაჯები — **დავით ცერაძე** და **რობიზონ თამაზაშვილი**.

ბაღში სულ ექვსი ჯგუფია, სადაც 220 ბავშვი ჰყავთ. წელს 60-მა აღსაზრდელმა შემოაბიჯა აქ და უკვე მხიარულად ერთობიან ახალი სათამაშოებით. რას არ ნახავთ — „ფიგურა კოშკი“, „საგზაო ნიშნები“, „ბინგო“, „ლუდო ექვსისთვის“, სენსორული თამაში – „შეეხე კედელს“, „სამაგიდო ლოტო“, ასაწყობი ფორმები სენსორულ მაგიდაზე – „ქვიშაზე ხატვის“, „სახლის აშენების“ და ბევრი სხვა.

კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი. ორივე ფლიგელს სჭირდება გამაგრებითი სამუშაოები. ბაგა-ბაღს არ აქვს დარბაზი, სცენა, სადაც ღონისძიებები მოეწყობა, ამიტომ ზეიმებს ჯგუფებში ატარებენ. ქალბატონ ნატოს ძალისხმევით, პროექტი უკვე მზად არის და იმედი გვაქვს სულ მალე, ამ კოხტა ეზოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დარბაზის შენობაც დაამშვენებს.

ისეთი ერუდირებული, ენერგიული და შემოქმედი ორგანიზატორი, როგორიც **ნატო ჯიქია** გახლავთ, გვჯერა, ყველა საქმეს ფრიადზე მოაგვარებს.

ნათია გურგენიძე

ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

კოდას ამშვენებს ბაღი ლამაზი

ტრასიდან თვალს მოგტაცებთ ევროპული სტილის კოხტა შენობა. იგი სოფელ კოდის საბავშვო ბაღი გახლავთ. ცოტა რამ მის იერ-სახეზე. ვრცელი ეზო გაჯერებულია იმით, რაც ყველაზე უფრო უყვართ ცეროდენებს: აი, კარუსელი, აი, საქანელა, აიწონა-დაიწონა. სოფლის ბავშვს ბუნების სილამაზით ვერ გააკვირვებ. ამ ეზოში მათ ჟრიამულს სხვა ხიბლი ახლავს, ასაკოვანნიც აღტაცებაში მოვდივართ მათი ცქერისას და თავად ვინატრებთ ბავშვობას. შენობაში შეხვალთ და... ყველაფერი კოხტა და ლამაზია. სისუფთავე და სილამაზე სუფევს. ყველგან მშობლიური გარემოა, თოჯინები იცინიან.

და ვინ არის ასეთი მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის შემოქმედი? ვინ და, სოფლისა და რაიონის გამგებლობა. სოფლის მოსახლეობა ემადლიერება მათ. მშობლები მეტად გახარებულნი არიან. ცეროდენებს აქეთკენ მოუხარიათ, და ხომ ესაა მთავარი.

ბაღის უფროსი მასწავლებელი, დედაუნივერსიტეტის აღზრდილი, ნიჭიერი ფსიქოლოგი **ნათია მარკოზაშვილი** ენერგიული, გამოცდილი ხელმძღვანელი გახლავთ. სწორედ ბავშვთა ფსიქოლოგიის მცოდნე, პატარებზე შეყვარებული, მათზე დედასავით მზრუნველი მოძღვარი სჭირდება საბავშვო ბაღს. ასევე ალერსიანი, ბავშვებზე შეყვარებული მუშაკები, აღმზრდელ-პედაგოგები უდგანან მას მხარში. თავად ქალბატონ ნათიას მოვუსმინოთ:

კოდის საბავშვო ბაღი დიდი ხანია ფუნქციონირებს. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ 2007 წელს ჩამოყალიბდა ა.ა.ი.პ **„სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“**, რომლის დირექტორი გახლავთ მეტად გამოცდილი პროფესიონალი **ნატალია ბეგიაშვილი**, მოადგილეა **ნინო კობახიძე**, მეთოდისტი **მზია ბეგიაშვილი**, ბუღალტრები – **დალი კუბლაშვილი** და **რუსუდან შიხიაშვილი**, აქ გაერთიანებულია 15 საბავშვო ბაღი, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდია სოფელ კოდისა, სადაც 120-მდე აღსაზრდელი ფრთიანდება. ჩვენთან 15 თანამშრომელი მოღვაწეობს. გვყავს 5 ჯგუფი. უფროსი მასწავლებელია **ნათია მარკოზაშვილი**, აღმზრდელები არიან: **ნესტან ჩიტუაშვილი**, **ია ბახუტაშვილი**, **ჟანა**

დარჩიაშვილი, **ნათია ახუაშვილი** და **ნათია დალაქიშვილი**. ძიძა-დამლაგებლები: **ხათუნა ავგროზაშვილი**, **მაია კოსტანაშვილი**, **დალი დავითაშვილი**, **ნინო დალაქიშვილი** და **მაია ედიშერაშვილი**. მზარეული – **ეკატერინე ჩიტუაშვილი**. მზარეულის თანაშემწე – **ლია ბასილაშვილი**. ექთანი – **მაია მოსიაშვილი**. მუსიკის პედაგოგი – **ხათუნა ჩიტუაშვილი**.

2014 წლის თებერვლიდან ვხელმძღვანელობ სოფელ კოდის საბავშვო ბაღს უფროსი მასწავლებლის სტატუსით.

2014 წელს ყველა თანამშრომელი დატრენინგებულია სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელის **ნატალია ბეგიაშვილის** ინიციატივითა და დაფინანსებით.

2015 წელს გამოცხადებული იყო ტენდერი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ, რის შედეგადაც ჩატარდა სტანდარტების შესაბამისად სარემონტო სამუშაოები და

კოდის ბაღი გადავიდა ახალ, გარემონტებულ კომფორტულ გარემოში.

ამჟამად საბავშვო ბაღს უწევს უკეთეს პირობებში მუშაობა, ვიდრე ეს წინა წლებში იყო. ჩვენზე ზრუნვისთვის დიდ მადლობას ვუხდით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს და სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ადმინისტრაციას.

ბაღი სისტემატურად მარაგდება საკანცელარიო და სამეურნეო საქონლით, უახლოეს მომავალში იგეგმება ცენტრალური გათბობა. ბაღში არის სრულფასოვანი მენიუ და ბავშვები იკვებებიან სამჯერადად. ამას კონტროლს უწევს ბუღალტერი **დალი კუბლაშვილი**. ამით მშობლები ძალიან კმაყოფილები არიან.

სეზონურად ეწყობა ბაღში როგორც ღია გაკვეთილები, ასევე ზეიმები. აქტიურად, წარმატებით გადიან ბავშვები **„სასკოლო მზაობის პროგრამას“**, რასაც თვალყურს ადევნებს გამოცდილი მეთოდისტი **მზია ბეგიაშვილი**. შარშან 35 ცეროდენამ დაამთავრა ბაღი. წელს კი 37 აღსაზრდელს გზას დავულოცავთ საჯარო სკოლის პირველ კლასში.

შ.შ.მ აღსაზრდელი გვყავს ორი.

ახლო მდებარე სოფლებიდან კერძოდ: სოფელ მუხათიდან და კოდის მეფრინველეობის დასახლებიდან დანიშნულია ტრანსპორტი აღსაზრდელთა ტრანსპორტირებისათვის. ჩვენი აღსაზრდელები მონაწილეობას იღებენ ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ ფესტივალებში, სადაც თვალსაჩინო წარმატებით გამოდიან.

ნათიას ნათქვამს ჩვენ კიდევ დავუმატებდით: ცეროდენები საინტერესო მხატვრულ ლონისძიებებს ატარებენ: შემოდგომის ზეიმს, საახალწლო გართობებს, აღნიშნავენ დედის, დედაენის დღეებს. ამით ფართოვდება სამყაროს შესაცნობად მათი თვალსაწიერი, ემზადებიან ცხოვრებისთვის, იძენენ შრომით ჩვევებს, ივითარებენ უნარ-ჩვევებს, ნებისყოფას.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ კოდელი ცეროდენების ის სამყარო სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესით არაფრით ჩამოუვარდება ქალაქის სკოლამდელ დაწესებულებებს.

ვასილ ბარნოვის თანამემამულე აღმზრდელ-პედაგოგებს მოგმართავთ **მუხრან მაჭავარიანის** სტრიქონებით: „კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო, კიდევ ერთი რუსთაველი კიდევ ერთხელ აამღეროთ... შეგიძლია, ჩემო ბაღო, გაგიმარჯოს საქართველოვ!“

ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ, კოდელებო!

ბორის მიშველაძე,
დამსახურებული პედაგოგი

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ!

„ᲨᲔᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲐᲜᲘ–ᲒᲐᲜᲘ, ᲨᲔᲒᲕᲐᲧᲕᲐᲠᲐ ᲓᲔᲓᲐᲔᲜᲐ“

მასწავლებლის დღეს მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანა აღნიშნავს. იცით რატომ? იმიტომ რომ მასწავლებლის როლი განუზომლად დიდია. პედაგოგი არის ის ადამიანი, რომელიც მოსწავლეებს აზრებს, სიტყვებსა და ფასეულობებს ასწავლის, ეს კი წიგნებით არ ისწავლება. იგი განსაზღვრავს, როგორი მომავალი თაობა გვეყოლება. საბედნიეროდ, არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც დროსა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ თავიანთი ცოდნა მოსწავლეებს უწილადონ.

45 წელია პატარებს თავს დასტრიალებს თბილისის მე-11 სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი **ნინო რაზმაძე**. 17 წლის გოგონა იყო, როცა უნივერსიტეტის პარალელურად სკოლაში დაიწყო მუშაობა. მის ხელში გაიზარდა უამრავი თაობა. 35 წლის ასაკში ბედმა დიდი განსაცდელი მოუვლინა. დაკარგა ახალგაზრდა მეუღლე და სამი მცირეწლოვანი ბავშვით ხელში მარტო შეეჭიდა ცხოვრების ჭაპანს. მან ღირსეულად დაძლია ცხოვრების მძიმე წლები, დაზარდა საამაყო შვილები და დღესაც გვაოცებს თავისი შემართებით.

დიდთან დიდი, პატარასთან პატარა, მხიარული, ხანდახან მკაცრი, მაგრამ მუდამ სამართლიანი – ასე ახასიათებენ მას კოლეგები და მოსწავლეთა მშობლები.

ამბობენ „ყველაზე დიდი ინვესტიცია მომავალ თაობაში უნდა ჩადოო“, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ მომავალი თაობის განათლება ქვეყნის უზრუნველყოფილი მომავლის ტოლფასია. ამის გათვალისწინებით ნინო მასწავლებელი ჩვენი დროის გმირია.

ნინო სკოლაში ყველას კეთილი მეგობარია. მის სახლში წლების მანძილზე, ყოველ პარასკევს სალონური საღამოები იმართებოდა. ჭიქა ჩაიზე ხშირად ვიკრიბებოდით კოლეგები და ვმსჯელობდით საჭირბოროტო საკითხებზე, ერთად განვიხილავდით და ბრძნულ დარიგებებსაც ვიღებდით. ასეთი განტვირთვა სრული სიამოვნება იყო.

საამაყო შვილები დაზარდა ნინო მასწავლებელმა. უფროსმა ვაჟმა **სანდრომ** ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი და თეატრალურის სარეჟისორო დაამთავრა. ამჟამად კინოსტუდიაში მუშაობს.

შუათანამ, **ლევანმა** უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, კერამიკულ კომბინატშია დასაქმებული, უმცროსი ქალიშვილი **თამთა** ისტორიკოსია, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

ნინო მასწავლებლის აღზრდილია დღეს ცნობილი მსახიობი **ბელა მუმლაძე**, რომელიც გრიბოედოვის სახელობის თეატრში მოღვაწეობს, **თინათინ ქუმსიაშვილმა** საფრანგეთში მონპელიეს უნივერსიტეტი წარმატებით დაამთავრა და დღეს უცხო ენის პედაგოგია ერთ-ერთ კერძო სკოლაში.

ნინო ამირანაშვილმა მოკლე ხანში შესანიშნავი კარიერა გაიკეთა. **მარიამ კირვალიძემ** კი – უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წარმატებით განაგრძო სწავლა გერმანიაში.

ნინო რაზმაძის მოსწავლეები დღეს წარმატებით არიან ჩართულნი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

ნანა თვარაძე,
დაწყებითი კლასების პედაგოგი

ᲦᲕᲐᲬᲚᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘᲡᲐ

ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ

საქართველოში უამრავი ღვაწლმოსილი მასწავლებელია, რომელთა შესახებ ბევრი შეგვიძლია ვისაუბროთ, გავიხსენოთ ამ ადამიანების მიერ გაზრდილი და დღეს უკვე ცნობილი მეცნიერები, მსახიობები, სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული პირები და ისევ მასწავლებელები.

თბილისის N116-ე საჯარო სკოლაშიც გყავს ღვაწლმოსილი პედაგოგი, რომელიც ასაკის მიუხედავად, კვლავ გატაცებით მოღვაწეობს. ისევ იმარჯვებენ მისი მოსწავლეები სასკოლო ოლიმპიადებში, წარმატებით აგრძელებენ სწავლას უმაღლეს სასაწავლებლებში, ცნობილი ადამიანები არიან.

იზა ჯიქიამ პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1963-68 წლებში 51-ე საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და გააგრძელა 134-ე საჯარო სკოლაში. შემოქმედი პედაგოგი მალე დაწინაურდა თბილისის მეორე ექსპერიმენტული სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

ქალბატონი იზა 1996 წლიდან 2005 წლამდე ხელმძღვანელობდა 122-ე საჯარო სკოლას.

დღეს ჩვენს სკოლას ამშვენებს თავისი აღზრდილებითა და აღსაზრდელებით.

აი, რას წერს მის შესახებ მასწავლებელთა დახელოვნებისა და განათლების სისტემის მეთოდური უზრუნველყოფის ინსტიტუტის ხელმძღვანელი მაია იანასარიძე: „ქალბატონი იზა ყოველთვის გამოირჩეოდა შემოქმედებითობით, სიახლის ძიებით, ინიციატივიანობითა. მას შეეძლო ყოველთვის შემოეკრიბა პროფესიონალთა გუნდი, შეექმნა შემოქმედებითი ატმოსფერო, ადვილად პოულობდა მშობლებთან საერთო ენასა და ინტერესებს, ყოველივე ამან განაპირობა მისი მაღალი ავტორიტეტი მასწავლებელთა წრეში და საზოგადოებაში.“

– რას გვეტყვით ქალბატონო იზა თქვენს შესახებ?

– დავიბადე 25 იანვარს გამთენიისას, ეს თარიღი თავისი ისტორიით საინტერესოა, 25 იანვარს რომში აწამეს ულამაზესი ქალიშვილი ტატიანა, შემდგომში წმინადად შერაცხული, რის გამოც ჩემი საერო სახელი, რომელიც ფრანგული წარმოშობისაა, მოძღვარმა შემიცვალა და ტატიანად მომნათლა.

– რამ განაპირობა თქვენი პედაგოგის პროფესიით გატაცება?

– 1963 წლიდან დავიწყე პედაგოგიური საქმინობა და ასე გავიარე გზა რიგითი მასწავლებლიდან სკოლის დირექტორობამდე. დღესაც ქართული ენის სიწმინდის სადარაჯოზე ვდგავარ, რაც ჩემთვის ყველაზე საპატიოა, შოთას, ვაჟას, გალაკტიონის ენის სიყვარულით ვზრდი მომავალ თაობებს და ამ საქმით გატაცებული ასაკს ვერ ვგრძნობ.

– ორიოდე სიტყვა თქვენი ხასიათის შესახებ:

– წუთისოფლისთვის თვალი არასდროს მომიხუჭავს, რადგან ვიცი და ახალგაზრდებსაც ვასწავლი: „თუ წუთისოფელს თვალი მოუხუჭე ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადს“. წუთისოფელმა ბევრჯერ სცადა ჩემი გათელვა, მაგრამ ვერ დამაჩოქა. მუდამ მეშინოდა ისეთი სიცოცხლის „სიკვდილს, რომ ჰგავს და უარესია“.

– მოკლედ თქვენი წარმატებების შესახებ:

– ორმოცდახუთი წელია ვმუშაობ. წარმატების სიხარული მეტი მქონია, თუმცა იყო წყენაც. წარმატებები შესაბამისი ჯილდოებით გამოიხატა, ვარ ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის მერიის 1999 წლის პრემის ლაურეატი. მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი დაფასება იყო და არის გრიგოლ ხანძთელის პრემია, რამეთუ ეს წმინდა მამა – „ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი“ ჩემი იდეალია..

– ცოტა რამ თქვენი ოჯახის შესახებ:

– მე, ჩემი შვილი, ორი რძალი და სამი შვილიშვილი შეხმატკბილებულად ვცხოვრობთ. უფროსი შვილის გამოკლება დედის გაუსაძლისი ტკივილი იყო. და მაინც ვფიქრობ, „ჩემი შუადღე ჯერ არ დამდგარა“. მიუხედავად იმისა, რომ „სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია“.

თქვენი მეგობრები და კოლეგები მზეგრძელობას გისურვებთ, ძვირფასო მოძღვარო!

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲞᲐᲞᲘᲫᲔ,
ქართულის მასწავლებელი

ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲪᲔᲠᲝᲓᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲓᲔᲓᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ

სასიამოვნო მისია დაგვეკისრა: მასწავლებლის დღე მივულოცოთ ძვირფას პედაგოგს. „დაიფარე ყველა ჩემი გაკვეთილი სირთულისა და სიცარიელისაგან. მომეცი ძალა, მოვსწყვიტო თვალი საკუთარი მკერდის ჭრილობას, როცა სკოლაში შევდივარ, მაქციე დედად, თვით ყველაზე მეტ დედად, რომ საკუთარ თავზე მეტად შევიყვარო ჩემი სულის ნაწილად ვაქციო, ვინც ხორცით ჩემი არ არის, მიეცი ჩემს ხელს სიმსუბუქე, როცა ვსჯი და სითბო, როცა ველაპარაკები ეს ,,მასწავლებლის ლოცვა“ ქალბატონ **ნატო კერესელიძეს** გათავისებული აქვს თავიდან ბოლომდე, ეს არის მისი პედაგოგიური მრწამსი. ის მართლაც ყველაზე მეტ დედად მოევლინება ხოლმე თითოეულ თავის აღსაზრდელს, მთელი სულითა და გულით უყვარს ყველა მათგანი, რამე თუ კარგად იცის, თუ სიყვარული არ შეგიძლია, ვერ ასწავლი ბავშვებს. ასწავლის სადად, უბრალოდ, მათთვის გასაგებ ენაზე, იქამდე უმეორებს ახალ მასალას, სანამ არ მიაღწევს სრულყოფილებას.

ერთი სიტყვით, ნატო მასწავლებელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს თბილისის 77-ე საჯარო სკოლაში.

ნატო მასწავლებლის ყოველი გაკვეთილი თითოეული ბავშვის გულში ანთებული ნაკვერჩხალია, რომელიც ერთ დიდ კოცონად აგიზგიზდება ხოლმე. მისთვის გაკვეთილის ჩატარება მარტო პროფესია როდია, მისთვის ყოველი გაკვეთილი ღვთისმსახურებაა.

ნატო მასწავლებელი თითოეულ მის აღსაზრდელს ღმერთის, სამშობლოს, მშობლის სიყვარულით უმსჭვალავს გულს და გონებას, ყოველ მის მოსწავლეს გააზრებული და შეგნებული აქვს, რომ ყველა ქართველისათვის სამი უწმინდესი რამაა მთავარი: **„მამული, ენა და სარწმუნოება“**.

ნატო მასწავლებელო, თქვენი შემწეობით ჩვენმა შვილებმა მარტო სამშობლოს და უფლის სიყვარული კი არა, მეგობრობაც ისწავლეს და ისინი დღეს ნამდვილი მეგობრები არიან, ჩვენ გვინდა, ყველა მასწავლებელი თქვენნაირი იყოს, რადგან თქვენ დაწყებითი კლასის მასწავლებლებს ყველაზე საპასუხისმგებლო საქმე გაკისრიათ, რომელიც ბავშვის სულში საქმიანობს და განსაკუთრებით სათუთია – ყოველი მოძრაობა სულის ამ ნაწილში ნორჩის მთელ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.

მადლობა ნატო მასწავლებელს ამ დიდი ღვაწლისათვის, მადლობა ყოველი დღისათვის, რომელიც ჩვენს შვილებთან გაატარა, მადლობა ყველა ლამაზი წუთისათვის, რომელიც ჩვენს შვილებს აჩუქეთ.

ვულოცავთ 60 წლის იუბილეს და ვუსურვებთ კიდევ ბევრი აღეზარდოს ამ სულისკვეთებით.

ᲛᲐᲘᲐ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ,
V² კლასის მშობელთა სახელით

შესანიშნავი სტარტი

ტრადიციული სკოლის ახალი პერსპექტივები

თბილისის 36-ე საჯარო სკოლა ძველ უბანში, სხულუხიას ქუჩაზე მდებარეობს. იგი დედაქალაქში ერთ-ერთი ტრადიციული სკოლაა. კარგი გაგებით აქვს ამბიცია, რომ იყოს გამორჩეული და წარჩინებული სასწავლო დაწესებულება. ამ მიზნის მისაღწევად, ძალ-ღონეს არ იშურებენ აქაური პედკოლექტივი და სკოლის დირექტორი **მაია კვინიკაძე**. იგი გახლავთ შესანიშნავი მენეჯერი და თავისი საქმის პროფესიონალი. მაიას დირექტორობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ასევე პედაგოგიურ-მოღვაწეობასაც ეწევა, სპეციალობით ქიმიკოსია, მაგრამ ამჟამად, დაწყებით კლასს (პირველ კლასს) აფრთიანებს. ძალიან უყვარს ბავშვები და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ვთქვათ, რომ დედასავით ზრუნავს თითოეულ მათგანზე.

საგულისხმოა, რომ **მაია კვინიკაძე** 2014 წლიდან კონკურსის წესით აირჩიეს 36-ე სკოლის ხელმძღვანელად. მისი მოსვლის დღიდან, მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. პირველ რიგში, ამაღლდა განათლების დონე, განახლდა ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდა სველი წერტილები. სკოლა აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით და ა.შ. მართალია, შენობის სრული რეკონსტრუქცია ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ დირექტორს იმედი აქვს, რომ სამინისტროს დახმარებით, სკოლის სრული გარემონტება უახლოეს მომავალში განხორციელდება.

სკოლაში სულ 487 მოსწავლეა. მართალია, ბავშვების რაოდენობა ბევრი არ არის, მაგრამ როგორც დირექტორი აღნიშნავს, ამ ფაქტსაც აქვს დადებითი მხარე, რადგან ყველა ერთმანეთს კარგად იცნობს და ყველაფერი იციან ერთმანეთის შესახებ. ამ სკოლაში დირექტორი, მასწავლებლები და მოსწავლეები ერთმანეთთან გულთბილი და მეგობრული დამოკიდებულებით გამოირჩევიან.

რაც მთავარია 36-ე სკოლა მომზადებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს და პედაგოგები მზად არიან იმისთვის, რომ მოსწავლეებს შესაბამისი განათლება მიაწოდონ. სკოლაში ისწავლება სამი უცხოური ენა: **ინგლისური**, **გერმანული** და **რუსული**. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბუნებისმეტყველო საგნებს, რისთვისაც მოწყობილი აქვთ შესაბამისი ლაბორატორიები და ოთახები.

სკოლაში სულ 41 მასწავლებელია, აქედან, 8 სერთიფიცირებულია. გაგაცნობთ კათედრის ხელმძღვანელებს, ქართულ ენა და ლიტერატურისა – **მზია ტეტუნაშვილი,** მათემატიკისა – **ნონა სებისკვერაძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებისა – **მანანა კიკალეიშვილი**, საბუნებისმეტყველო საგნებისა – **ლელა ნიკოლეიშვილი**, უცხოური ენებისა – **ლიანა ბარნაბიშვილი**, ესთეტიკისა – **ხათუნა გაგნიძე**, დაწყებითებისა - **ციალა ხუჭუა.**

დირექტორის თქმით, გასული სასწავლო წელი ნაყოფიერი იყო, რადგან 48 კურსდამთავრებულიდან, 40 სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტი გახდა.

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები: გახანგრძლივებული, **კალათბურთის**, **ფრენბურთის**, **ქართული ცეკვის**, **მუსიკალური** და ა. შ. ასევე, ტარდება კონფერენციები და სხვადასხვა ღონისძიებები. აქაურიჭპედაგოგების დამსახურებაა ის, რომ სკოლას ჰყავსჩწარჩინებული და ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეები. შარშან, მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, 36-ე სკოლამ 2000 ლარიანი გრანტი მოიგო პროექტისთვის – „განათლებული თაობა ირჩევს ჯანსაღი ცხოვრების წესს“. მოგებული თანხით კი შეიძინეს ვიდეოკამერა, გადაიღეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი და განათავსეს იგი სოციალურ ქსელში. ფილმი, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას ეხებოდა მოსწავლეებსა და ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

აღსანიშნავია, რომ სკოლა თითოეულ მოსწავლის ხარისხიან სწავლებაზეა ორიენტირებული. დირექტორის თქმით, თითოეული მოსწავლე სკოლისთვის მნიშვნელოვანია და აქაური მესვეურები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ბავშვებმა თავი კომფორტულად იგრძნონ. სკოლაში სულ 5 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვია, რომელთა მიმართ აქ მაქსიმალურ მზრუნველობას იჩენენ.

სამომავლოდ, სკოლის ხელმძღვანელობას საინტერესო გეგმები აქვს და უნდათ, ამით სკოლა ერთ-ერთი პრესტიჟული და ცნობადი გახადონ. ქალბატონი მაიას თქმით, დიდი სურვილი აქვთ, სკოლაში ტექნიკურ საგნებზე (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) გაძლიერდეს სწავლება, თუმცა, ამისთვის ჯერ სტატუსი უნდა მოიპოვონ.

36-ე საჯარო სკოლას, წარმატებულ სასწავლო წელს და ჩანაფიქრის სრულ განხორციელებას ვუსურვებთ. ასეთი ძლიერი პედაგოგების ხელში ეს მიზნები ზედმიწევნით მიღწევადია.

მზია გოგოძე



სიცილი ჯანმრთელობის ელექსირია

ნიკაპნალამოკრულები

მოდა ადამიანთა ცხოვრების წესს განსაზღვრავს. ზოგი სწრაფწარმავალია, ზოგი – უფრო მედეგი. გახეხილ-გამობდღვნილი ჯინსი ახლაც მოდაშია, თუმცა ევოლუციას განიცდის.

მეზობლის მერვეკლასელმა ლიკამ გუშინ ახალთახალი შარვალი იყიდა. დღეს ცალ მუხლთან გახეხილ, გაფხრეწილი ვუნახე: ასე მალე როგორ დაგეხა, ლიკა? ასეა ამერიკაშიო.

რომ გაიარ-გამოიარა, ნახა, სხვა ქალებს მუხლებს ზემოთაც გამოეფხრიწათ შარვალი, ისიც – ორივე ფეხებში. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო, – იფიქრა ლიკამ და მუხლებს ზემოთაც გაშიშვლდა, თანაც ორივე მხარეს.

ოდნავ მაინც მესმის მაგნაირი ქალბატონების, ვენერა მილოსელის სიშიშვლით რომ აღიზიანებენ ბიჭებს, მაგრამ თავად ბიჭების ვერაფერი გამიგია: ვის ხიბლავს მათი დაფლეთილი შარვლიდან გამოშვერილი ბანჯგვლიანი მუხლები?

გემოვნების საკითხიაო მოდა. გემოვნებაზე არ დაობენო. მოდა ორი სახისაა: **გემოვნებიანი** და **უგემოვნო**. გაუაზრებლად, სხვისგან მიბაძვით გადმოღებული მოდა არის სწორედ **ეგემოვნო**. მან შეიძლება სასაცილო მდგომარეობაში ჩაგაგდოს. წარმოიდგინეთ, ლუარსაბის დარეჯანი კუპატივით შარვალში ჩატენილი რუსთაველზე „მოგოგმანობდეს“.

ღმერთმა და ბუნებამ ქალის სამშვენისად კაბა გააჩინა. მოდით, ახლა სახადივით მოდებულ მოდაზე – **წვეროსნობაზე** ვიქილიკოთ.

წვეროსნობა წუთი-წუთზე მოდიფიცირდება. ვისაც უხდება – ჰო! ვისაც არა, მასზე ეცინებათ. მეათეკლასელები შემხვდნენ – სახეზე ღინღლები გაეპარსათ, მალე კუპრივით შავი წვერი ამოგვივაო. არსენა გამახსენდა: „რომ შეიქმნა 16 წლის, **ულვაშები** დაიმშვენა“ და არა – **წვერები**.

ერთ დროს მოდაში იყო, **„ბაკები“**. **ჰამლეტ გონაშვილი** ატარებდა, **თამაზ კვაჭანტირაძე** და **სეფერთილაძეც**, **არჩილ გოგელიაც** და **ზურაბ ცუცქირიძეც**. მათ ბაკები ნამდვილად შვენოდათ. „ბაკები“ **„ბლანჟემ“** შეცვალა. „ბლანჟეს“ მეგრულად **„ბჟაკე“** ჰქვია. ნიკა მელიამ იმიტომ კი არ გადაიხოტრა თავი, რომ თმა არ ამოსდის, მოდას არ ჩამორჩა.

შარშან ერთ არხზე ერთ კაცს გადაცემა მიჰყავდა. ტელეჟურნალისტი თავითა და ტანით ბურთივით მრგვალი იყო. არც თავზე, არც სახეზე ბალნის ნასახი არ ეტყობოდა. ოღონდ ნიკაპთან დაწყებული საულვაშეს ჩათვლით ცხენის ნალის მსგავსი შავი ბალანი ჰქონდა აკრული, თითქოს გრიმიორს მიუწებებიაო – ნამდვილად **„ნიკაპნალამოკრულს“** ჰგავდა.

გადაირია დიდი და პატარა, მომრავლდნენ და მომრავლდნენ **„ნიკაპნალამოკრულთა“** ლეგიონები. ვინ დაეძებდა, უხდებოდა თუ – არა. აგერ **ნასარიძე**, ეგერ **ნიკა გვარამია**. განათლების მუშაკთა შორის პირველობის პალმას **სიმონ ჯანაშიას** ვერავინ შეეცილება. მას მინისტრებმა **ნოდიამ**, **შაშკინმა**, **მარგველაშვილმა** მიბაძეს. პრეზიდენტი მალე შეელია **„ბჟაკეს“**, **ნოდია** და **შაშკინი** – ვერა.

ამასობაში კორეული მრავალსერიანი ფილმის **„ჟუმონგის“** ჩვენება დაიწყეს. მეორე დღესვე გაჩნდა ქვედა ტუჩის ქვემოთ **„სამკუთხედი“**.

გემოვნებიან მოდაზე არ დაობენ, უგემოვნოზე – კი. დიახ, კაცია და გუნება. წინ „ბჟაკიანებო!“ „გაუმარჯოს **„ბჟაკიანებს!“**

მოსე მწერალი

მცირე რეპლიკა

„რაიონი“ თუ „მუნიციპალიტეტი“?

მარნეულისკენ მიმავალ გზაზე კუმისის ტბასთან აღმართს რომ მოილევ, სოფელ კოდის დასაწყისში აღმართულ დიდ ბანერს დიდი ასოებით აწერია: **„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი“**. ე. ი. ეს ახლა აღმართეს, სულ 2-3 წელი იქნება, თორემ მანამდე მუდამ **„რაიონი“** ეწერა.

ისე გავგიჟდით, გადავირიეთ ამ უცხოურ ტერმინებზე, საშველი არ არის. რა ენა და მამულზე ველაპარაკო იმ ქართველს, რომელიც მამა-პაპურ წვრთნა-ვარჯიშზე **„ტრენინგს“** და წარდგენაზე **„პრეზენტაციას“** წარამარა გაიძახის? შეგეკამათება: საერთაშორისო სიტყვებიაო. კი ბატონო, მაგრამ უცხოელი ქართულ ტექსტს მაინც არ ან ვერ კითხულობს, მისი თარგმნა დაგვჭირდება და იმ თარგმანში იხმარე ეგ შენი საყვარელი **„ტრენინგ-პრეზენტაცია“**.

„რაიონი“ იმ მავანს, ვინც **„მუნიციპალიტეტი“** დააკანონა, ქართული სიტყვა ეგონა და სიახლის მიგნების სიხარულით თავბრუდახვეულმა წამოიძახა: „ევრიკა!“

არადა, ცალი თვალით მაინც რომ ჩაეხედა ლექსიკონში, მიხვდებოდა: საქმე სულ სხვანაირადაა.

რადგან იმ კაცს დაეზარა ლექსიკონის გამოყენება, მკითხველო, მოდით, მე და თქვენ ორივე თვალით ჩავიხედოთ: **„რაიონი“** – (ფრანგული) სივრცე, გეოგრაფიული ტერმინია, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. **„მუნიციპალიტეტი“** – (გერმანული) – თვითმმართველობა. რა ვქნათ ახლა? სინონიმებად ჩავთვალოთ?

P.S. საერთოდ რაში გვჭირდება **„მუნიციპალიტეტი“**, როცა გვაქვს თავანკარა ქართული **„თვითმმართველობა“?** ყველა საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია **„მოსწავლეთა თვითმმართველობა“**. ვაითუ, მასაც **„მოსწავლეთა მუნიციპალიტეტი“** დაარქვან!

რედაქტორი

ხიმურ რუხაია – 70

პედაგოგიური დინასტიის საამაყო პროფესორი

საუკეთესო მეცნიერისთვის სამოცდაათი წელი სიბრძნისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის ასაკია. ჩვენს იუბილარს მოსწავლეობიდან ჰქონდა გათავისებული პედაგოგიური აქსიომა: ნიჭს პლიუს გატაცება, პლიუს შეუპოვარი შრომა არის გამარჯვების ფორმულა. ჰოდა, გაიმარჯვა კიდეც: დედაუნივერსიტეტის გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამების ლაბორატორიის გამგე, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ხიმურ რუხაია** 70 წლისა გახდა.

ბატონი ხიმური დიდი პედაგოგიური ოჯახის გამორჩეული წევრია. არ გვეგულება საქართველოში მეორე ისეთი ოჯახი, რომლის სამი თაობა მთლიანად პედაგოგის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდეს.

ხიმურის მამას, დიდ პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს **მიხეილ რუხაიას** სულ ახლახან გადაუხადეს 100 წლის იუბილე. ასევე დიდ პედაგოგს, ხიმურის დედას **ნინა კუციას** – 90 წლის იუბილე. ჩვენი იუბილარის მეუღლე **ქრისტინე ჯმუხაძე** ჩინებული მათემატიკოსია. დები: **ლუიზა, ლიანა რუხაიები**, სიძე – **გენადი გვიშიანი** მასწავლებლად მუშაობდნენ საშუალო სკოლებში. ტრადიციას სასახელოდ აგრძელებენ ბატონი ხიმურის შვილები: **ნინო რუხაია** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია, **მიხეილ რუხაია** (უმცროსი) კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი, **გიორგი რუხაია** — ბონის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის მაგისტრანტი, **ვახტანგ რუხაია** ჯერ კიდევ მოსწავლეა.

ახლა უფრო ვრცლად ვისაუბროთ იუბილარზე: **ხიმურ რუხაია** აფხაზეთიდან დევნილი პროფესორია. დაამთავრა **ოჩამჩირის** რაიონის სოფელ ახალი კინდღის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე**.

1968 წლიდან დღემდე მუშაობს ამავე უნივერსიტეტის **ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში**. ამჟამად არის გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორიის გამგე.

1974-75 წლებში სამეცნიერო სტაჟირება გაიარა **ვარშავის უნივერსიტეტის** მათემატიკის ინსტიტუტში. 1980 წელს **ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში** დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„შემამოკლებელი ნიშნების სისტემის შესახებ“** და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1986 წელს სსრკ უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მიანიჭა **უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის** სამეცნიერო წოდება, სპეციალობით **მათემატიკური ლოგიკა**, **ალგებრა** და **რიცხვთა თეორია**.

გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მისი კვლევის სფეროებია: თეორემათა ავტომატური მტკიცების თეორია, ურანგო ოპერატორებიანი ლოგიკური თეორიები, ლოგიკური პროგრამირება და სხვა. კვლევებში არსებითად გამოყენებულია მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის – **შალვა ფხაკაძის** მიერ შემუშავებული ფორმალურ თეორიათა აგების პრინციპი, რომელიც ძალიან პროდუქტიულია და იძლევა რიგი მნიშვნელოვანი შედეგების მიღების საშუალებას.

ხიმურ რუხაია ხშირად მონაწილეობს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში. მისი ხელმძღვანელობით **შვიდმა დოქტორანტმა** წარმატებით დაიცვა დისერტაცია. არის სამაგალითო მეოჯახე, ოთხი შვილის მამა და ორი შვილიშვილის ბაბუა. ამ მიმართულებით ვრცელი ასპარეზი კიდევ წინ არის.

ბატონი ხიმური ამაყობს იმით, რომ მისი სტუდენტობის დროს დედაუნივერსიტეტის რექტორი გახლდათ მსოფლიო რანგის მეცნიერი, აკადემიკოსი **ილია ვეკუა**.

სენტ-ეკზიუპერს ეკუთვნის ფრთიანი ფრაზა: **„ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო“**. ბატონი ხიმური, მუდამ და ახლაც არის ისეთივე კეთილი, თავაზიანი, კაცთმოყვარე და სამეგობრო, როგორიც იყო ბავშვობისას, მოსწავლეობისას, სტუდენტობისას. ერთი მწარე ტკივილი გულს ამჩნევია დაღადა – ვერაფრით ურიგდება და ეგუება აფხაზეთიდან მშობლიური ახალი კინდღიდან გამოდევნას. საკუთარ კერაზე დაბრუნების ოცნება მალე აგხდენოდეთ, ბატონო ხიმურ.

ვულოცავთ **ხიმურ რუხაიას** იუბილეს, ვუსურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მუშაობაში.

მეგობრები და კოლეგები: **ტიტე ხუხუა**, **ვალტერ სიჭინავა**, **გიზო გეგეჭკორი**, **ბორის მიშველაძე**, **ლალი ტიბუა**, **ელიზბარ ნადარაია**, **ჯემალ როგავა**, **თემურ დავითაშვილი**, **ვალერ ჯიოევი** და სხვები.

გაიხსნა ახალი ცოდნის ტაძარი

საზოგადოებრივი ჯოლჯი „კავკასიონი“

აცხადებს სტუდენტების მიღებას
პროფესიულ სპეციალობებზე:

1. პრაქტიკოსი ექთანი
2. ფარმაცია
3. ექთნის თანაშემწე
4. მასაჟი
5. ბიზნესის ადმინისტრირება
6. ეკონომიკა და ბიზნესი (ოფისის მენეჯერი, ბუღალტერი)
7. ბანკის მოლარე-ოპერატორი
8. ტურიზმის მენეჯერი
9. კომპიუტერული ტექნოლოგიები

მიიღებიან ზოგადი და საშუალო (9,10,11,12 კლასდამთავრებულები) განათლების ბაზაზე.

დირექტორი, პროფესორი
რაინდი ტარიელის ძე ლომაია

ჩვენთან სტუდენტები სარგებლობენ შეღავათებით - ობლები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები და სხვა, წარჩინებულებს დაენიშნებათ სტიპენდია. სტუდენტები გაივლიან ინტენსიურ მომზადებას კომპიუტერულ ტექნოლოგიებში და უცხოურ ენებში.

www.kavkasioni.edu.ge

საკონტაქტო ინფორმაცია მეორე გვერდზე

ოდესის საერთაშორისო ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

აცხადებს სტუდენტების მიღებას

ეროვნული ბამოსდების ბაზაზე

ბაკალავრისა და მაგისტრის პროგრამებზე:

ბიზნესის ფაკულტეტი:

1. საერთაშორისო ბიზნესი.
2. ბიზნესი და მენეჯმენტი.
3. ბუღალტერია და აუდიტი
4. სამართალმცოდნეობა
5. კომპიუტერული ინჟინერია

ჯანდაცვის ფაკულტეტი

1. სტომატოლოგია.
2. ფარმაცია.
3. ლაბორატორიული დიაგნოსტიკა.

ჩვენთან გელოდებათ საუკეთესო პირობები, კარგი სწავლა, უმაღლესი დონის პროფესურა

ბაისემა საერთაშორისო დონის დიპლომი

ჩვენი მისამართი:

ქ.თბილისი. ა.წერეთლის 77ბ. 599912564
ქ.ქუთაისი, ოცხელის ქუჩა N2. 551897189
ქ.ბათუმი. აღმაშენებლის N13 593288622

www.geuc.edu.ge

საბუთების მიღება ხდება ყოველ დღე,
10 საათიდან – 17 საათამდე
ტელ: 0 (431) 22-41-31; 0 (431) 24-77-55



მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+, №13 (4534)
12 ოქტომბერი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რ ე დ კ ო ლ ე გ ი ა

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 58 45 72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34-41-41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ.ფოსტა: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ.: (032)2 99 80 00
(032)2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113